საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 503/01
30/01/2023

503-01-2-202301301119

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას

თქვენი წერილის (#34-3423024102 24.01.2023) პასუხად, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოში მდებარე 15 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირების საკითხს. გაცნობებთ, რომ აღნიშნული ნაკვეთი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილის (#21/384 26.01.2023) თანახმად, წარმოდგენილი ნაკვეთი მდებარეობს არხთან, ასევე ხელოვნურ ტბებთან. ნაკვეთზე ან მის ნაწილზე შესაძლებელია ვრცელდებოდეს წყალდაცვითი ზოლი, რომელშიც „წყლის შესახებ" საქართველოს კანონის (მუხლი 19, 20) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული "წყალდაცვითი ზოლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2) თანახმად, მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების დაბინძურების, მოლამვისა და დაშრეტისაგან დასაცავად.

„წყლის შესახებ" საქართველოს კანონის (მუხლი 20.) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული "წყალდაცვითი ზოლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2.) თანახმად, გასხვისების ზოლის სიგანე აითვლება მაგისტრალური და სხვა არხების კიდიდან ორივე მხარეს და გასხვისების ზოლის სიგანედ დადგენილია არანაკლებ 4 მეტრი. ამავე ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2.) თანახმად: „იმ ტბებისა და წყალსაცავებისათვის, რომლებიც არ გამოიყენება სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისათვის, წყალდაცვითი ზოლის სიგანე განისაზღვრება: წყლის მაქსიმალური ზვირთცემისას წყლით დაფარული შესაბამისი სანაპირო ხაზის კიდიდან 300 მეტრით, ხოლო სარეკრეაციო-გამაჯანსაღებელი ობიექტებისათვის,

წყლის მაქსიმალური ზვირთცემისას წყლით დაფარული შესაბამისი სანაპირო ხაზის კიდიდან არანაკლებ 30 მეტრით".

წყალდაცვით ზოლში მოხვედრილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „წყლის შესახებ" საქართველოს კანონით (მუხლი 20. პ.4) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული "წყალდაცვითი ზოლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წყალდაცვითი ზოლის გავრცელების პირობები, დადგენილი აკრძალვები და სპეციალური მოთხოვნები.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

KA020184842784123

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 32 2 95 00 30

 # 22/405

25 / იანვარი / 2023 წ.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს

ბატონო დიმიტრი,

თქვენი 2023 წლის 23 იანვრის #34-3423023237 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. საგურამოში მდებარე 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, სააგენტოში არსებული ინფორმაციით, წიაღზე დამაგრებას არ ექვემდებარება.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე გადაფარვის გარკვევის მიზნით, უნდა მიმართოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ნანა ზამთარაძე

ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.24
0186 თბილისი, საქართველო

5252644
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრის მოადგილეს
ბატონ რომეო მიქაუტაძეს
მის.: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1

ასლი: მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას
მის.: ქ. მცხეთა, ანტიოქიის #7

ბატონო რომეო,

თქვენი 2023 წლის 27 იანვრის №23/548 წერილის პასუხად, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 23 იანვრის №34-3423023239 წერილს, გაცნობებთ, რომ სოფ. საგურამოში მდებარე 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს კუთვნილი ქსელი განთავსებული არ არის.

პატივისცემით,

დავით ხარშილაძე
განვითარების მენეჯერი

David Kharshiladze
Digitally signed by David Kharshiladze
Date: 2023.02.08 14:21:59 +04'00'

შემსრ: თორნიკე ხარაიშვილი/ტელ: 577 35 05 72

KA020132447533923

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1
1, Zviad Gamsakhurdia Embankment, 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 23/993

13 / თებერვალი / 2023 წ.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას

თქვენი 2023 წლის 23 იანვრის №34-3423023239 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და სახელმწიფო ქონებაზე (წიაღის ჩათვლით) დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონებაზე დამაგრებული მიწების, აგრეთვე იმ მიწების, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე დამაგრებას, განსაზღვრისა და გამიჯვნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ოქტომბრის N233 დადგენილების თანახმად წერილის დანართით წარმოდგენილ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არ არის გათვალისწინებული ელექტროსადგურის ან/და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განთავსება.

დანართი: 3 ფურცელი

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

რომეო მიქაუტაძე

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის
საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული

წერილის ნომერი:**25-342307425**
თარიღი: **15/03/2023**

ადრესატი:

დიმიტრი ზურაბიშვილი
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

თქვენი N08-3423024103 (24/01/2023) წერილის თაობაზე, რომელიც ეხება მოქალაქე თამარ ბიწაძის (პ/ნ 01012012155) განცხადებას, სადაც ნახსენებია სოფელ საგურამოში მდებარე 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირებისა და აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხი, გაცნობებთ, რომ ადგილზე გასვლით შევისწავლეთ საპრივატიზებოდ მოთხოვნილი ქონების ადგილმდებარეობა, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები, ტერიტორიას არ კვეთს არანაირი სახის ხაზობრივი ნაგებობა და არ იგეგმება მისი გამოყენება ადმინისტრაციული ერთეულის სხვა მიზნებისთვის, ასევე მომიჯნავე მიწის ნაკვეთებს არ ეზღუდებათ მისასვლელი გზით სარგებლობის უფლება, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგურამოს ადმინისტრაციულ ერთეულს მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოქალაქის მიერ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირების და შემდგომში მისი პრივატიზების საკითხი.

ოთარი ბიჩნიგაური

საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული-მერის წარმომადგენელი საგურამოს ადმინისტრაციულ ერთეულში